

„შპს სანს გრუფ“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წელი 31 დეკემბერი

შპს “სანს გრუფ”
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
განმარტებითი შენიშვნები.....	8
1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
3. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები.....	10
4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	10
5. მარაგები.....	10
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	10
7. კაპიტალი.....	11
8. ამონაგები.....	11
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
10. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:.....	11
11. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	11
12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.....	11
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	11

შპს „სანს გრუფ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
<u>მოკლევადიანი აქტივები</u>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	52,249	36,969
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	723,410	704,840
გაცემული ავანსები		141,874	368,045
მარაგები	5	326,319	205,246
საგადასახადო აქტივები		-	4,876
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,243,852	1,319,976
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები		982,048	307,823
სულ გრძელვადიანი აქტივები		982,048	307,823
სულ აქტივები		2,225,900	1,627,799
ვალდებულებები			
<u>მოკლევადიანი ვალდებულებები</u>			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	33,097	25,851
მიღებული ავანსები		37,229	54
საგადასახადო ვალდებულებები		29,884	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	-	354
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		100,210	26,259
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>			
მიღებული სესხები		208,233	323,737
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		208,233	323,737
სულ ვალდებულებები		308,443	349,996
საკუთარი კაპიტალი	7		
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
დაგროვილი მოგება/ზარალი		1,916,457	1,276,803
სულ საკუთარი კაპიტალი		1,917,457	1,277,803
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,225,900	1,627,799

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 სექტემბერს.

სერგო მოწინიძე

დირექტორი

შპს „სანს გრუპ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
<u>მოკლევადიანი აქტივები</u>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	52,249	36,969
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	723,410	704,840
გაცემული ავანსები		141,874	368,045
მარაგები	5	326,319	205,246
საგადასახადო აქტივები		-	4,876
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,243,852	1,319,976
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები		982,048	307,823
სულ გრძელვადიანი აქტივები		982,048	307,823
სულ აქტივები		2,225,900	1,627,799
ვალდებულებები			
<u>მოკლევადიანი ვალდებულებები</u>			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	33,097	25,851
მიღებული ავანსები		37,229	54
საგადასახადო ვალდებულებები		29,884	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	-	354
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		100,210	26,259
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>			
მიღებული სესხები		208,233	323,737
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		208,233	323,737
სულ ვალდებულებები		308,443	349,996
საკუთარი კაპიტალი	7		
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
დაგროვილი მოგება/ზარალი		1,916,457	1,276,803
სულ საკუთარი კაპიტალი		1,917,457	1,277,803
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,225,900	1,627,799

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 სექტემბერს.

სერგო მოწინაძე 
 დირექტორი

შპს „სანს გრუფ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	8	2,610,710	2,053,933
გაყიდვების თვითღირებულება		(1,474,411)	(1,193,479)
საერთო მოგება		1,136,298	860,454
საოპერაციო ხარჯები			
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯები		(165,089)	(100,452)
შრომის ანაზღაურება		(69,737)	(75,292)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		(16,600)	(16,154)
ცვეთის ხარჯი		(20,721)	(32,313)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(151,352)	(117,493)
ბანკის საკომისიო ხარჯი		(4,358)	(4,588)
საკონსულტაციო ხარჯები		(12,000)	(12,888)
სულ საოპერაციო ხარჯები		(439,858)	(359,180)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		696,441	501,274
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(26,702)	(1,538)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)	10	1,351	(5,152)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		(265)	(3,527)
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		670,825	491,057
მოგების გადასახადი		(4,856)	(1,858)
წმინდა მოგება/(ზარალი)		665,970	489,200

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 სექტემბერს.

სერგო ძოწენიძე

დირექტორი

შპს „სანს გრუფ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	ბენიშენა	2024	2023
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	8	2,610,710	2,053,933
გაყიდვების თვითღირებულება		(1,474,411)	(1,193,479)
საერთო მოგება		1,136,298	860,454
საოპერაციო ხარჯები		(165,089)	(100,452)
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯები		(69,737)	(75,292)
შრომის ანაზღაურება		(16,600)	(16,154)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		(20,721)	(32,313)
ცვთვის ხარჯი		(151,352)	(117,493)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(4,358)	(4,588)
ბანკის საკომისიო ხარჯი		(12,000)	(12,888)
საკონსულტაციო ხარჯები		(439,858)	(359,180)
სულ საოპერაციო ხარჯები		696,441	501,274
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		-	-
საპროცენტო შემოსავალი		(26,702)	(1,538)
საპროცენტო ხარჯი		1,351	(5,152)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)	10	(265)	(3,527)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		670,825	491,057
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		(4,856)	(1,858)
მოგების გადასახადი		665,970	489,200
წმინდა მოგება/(ზარალი)			

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 სექტემბერს.

სერგო მოწენიძე

დირექტორი



შპს „სანს გრუფ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,000	798,130	799,130
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	489,200	489,200
გადახდილი დივიდენდები	-	(10,526)	(10,526)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,000	1,276,803	1,277,803
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	665,970	665,970
გადახდილი დივიდენდები	-	(26,316)	(26,316)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,000	1,916,457	1,917,457

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 სექტემბერს.

სერგო ძოწენიძე

დირექტორი

შპს „სანს გრუფ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(გრძელ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,000	798,130	799,130
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	489,200	489,200
გადახდილი დივიდენდები	-	(10,526)	(10,526)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,000	1,276,803	1,277,803
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	665,970	665,970
გადახდილი დივიდენდები	-	(26,316)	(26,316)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,000	1,916,457	1,917,457

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 სექტემბერს.

სერგო მოწენიძე

დირექტორი



შპს „სანს გრუფ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს სანს გრუფ დაფუძნდა 2014 წლის 19 დეკემბერს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სადენტიფიკაციო ნომრით : 402007573. კომპანიას ჰყავს ორი მფლობელი : 80% წილით ნინო ჩუბინიძე და 20% წილით ანანო კუბლაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სუნელ-სანელებლებისა და საკმაზ-სანელებლების წარმოებას.

კომპანიაში ამჟამად დასაქმებულია დაახლოებით 10 ადამიანი.

კომპანიის იურიდიული მისმართია : საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სოხუმის ქუჩა, N7, ბინა N6.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღივსის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაძარის ინფორმაციას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს

აშშ დოლარი	ევრო
2.8068	2.9306

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარა ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანი“ კატეგორიას მიაკუთვნებს. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

წელი
მანქანა-დანადგარები
5 - 15

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწრის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების 10 წლის ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	12/31/2024	12/31/2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	32,270	33,306
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	19,978	3,663
სულ	52,249	36,969

4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	723,378	704,840
სხვა მოკლევადიანი აქტივები	32	-
სულ	865,284	1,072,886

5. მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
მზა პროდუქცია	39,121	18,005
მასალა და ნედლეული	287,198	187,241
სულ	326,319	205,246

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	24,961	18,935
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8,136	6,916
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	354
სულ	70,326	26,259

7. კაპიტალი

კომპანიას აქვს საწესდებო კაპიტალი 1000 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი მოგება/ზარალი შეადგენს 1,916,457 ლარს და სულ კაპიტალი უტოლდება 1,917,457 ლარს.

2024 წლის მანძილზე პარტნიორებზე გაცემული დივიდენდის ოდენობა შეადგენს: 26,316 ლარს

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებებში (მათ შორის ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის პარტნიორთა მიერ. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

8. ამონაგები

კომპანიის ამონაგები სრულად შეადგენს შემოსავალს მაიონეზებისა და კეტჩუპების რეალიზაციიდან, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია 2,610,710 ლარით.

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	12/31/2024	12/31/2023
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	885	868
ქონების გადასახადის ხარჯი	5,261	1,472
სხვა საგადასახადო ხარჯი	9	216
სხვა ხარჯები	145,197	114,938
სულ	151,352	117,493

10. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

	12/31/2024	12/31/2023
დადებითი საკურსო სხვაობა	3,765	3,035
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(2,414)	(8,187)
სულ	1,351	(5,152)

11. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას დაკავშირებულ მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 18 სექტემბერს.